საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 151 2016 წლის 29 მარტი ქ. თბილისი

„უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილებაში (სსმ, 13/05/2010, მუხლი 839) შეტანილ იქნეს ცვლილება და 1^1 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის მიერ, საქართველოში უცხოელი შემსრულებლების მონაწილეობის მიზნით, კულტურული ღონისძიებების განსახორციელებლად დასადებ ხელშეკრულებათა

პროექტებზე, ასევე ქართული კულტურის პოპულარიზაციისა და გავრცელების მიზნით, ქვეყნის ფარგლებს გარეთ კულტურული ღონისძიებების განსახორციელებლად დასადებ ხელშეკრულებათა პროექტებზე.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**